პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 8 მარტი, 1951 წ. № 56 (8910). ფასი 20 კაპ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მასწავლებლებს, მედიცინის მუშაკებს, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკებს და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს და რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც იქნებიან საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები

საბჭოთა კავშირის მშრომელები მძლავრი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ წელს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს. ჩვენმა ხალხმა ვადამდე შეასრულა მეოთხე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები, ახალი დიდი გამარჯვებანი მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე და ახლა წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად სტალინურ პროგრამას.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მამაკაცებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ქალები, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. ისინი მთელ თავიანთ ენერგიასა და ძალებს ახმარენ ჩვენი ქვეყნის წინსვლას. ეს გასაგებიცაა. მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ გაათავისუფლა ქალები ჩაგვრისა და მონობისაგან. მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ, დიდმა სტალინმა გაუხსნეს ქალებს გზა [illegible]

[illegible] თი პატრიოტული შრომით ძვირფასი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში. ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ფართოდ არის ცნობილი საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ქალების, სოციალისტური შრომის გმირების — სოფიო მარიდაშვილის, დარეჯან ტაკიძის, ასმათ ჯიჯავაძისა და სხვათა სახელები. ესენი არიან საბჭოთა სოფლის ახალი ადამიანები, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები. ისინი სოციალისტური შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებით ყოველწლიურად აღიდებენ მოსავლიანობას, ზრდიან საკოლმეურნეო ხვავსა და ბარაქას და აჩქარებენ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას.

ქართველი ქალები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ახლახან ჩატარებულ საქართველ[illegible]

[illegible]

ჩვენი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელი საბჭოთა კავშირის ქალების მხარდამხარ იბრძვიან ქართველი ქალებიც. საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით შესანიშნავი ქალი მუშაობს. მათ თავიან[illegible]

[illegible] სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მათი ფართოდ ჩაბმისათვის ყოველდღიური ზრუნვით უნდა მივაღწიოთ ქალთა აქტივობის უფრო ამაღლებას, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მათს უფრო აქტიურ მონაწილეობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1951 წლის 7 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ

7 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს ამხ. **ა. გ. ზვერევს.**

ა. გ. ზვერევის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღის წესრიგის საკითხთა განხილვის წესის თანახმად, რომელიც პალატებმა მიიღეს, საბიუჯეტო კომისიების თანამომხსენებანი, კამათი ბიუჯეტის გამო და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალცალკე სხდომებზე.

ამით კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა მთავრდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

6 მარტს მოსკოვში, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში, გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

მეორე სესიამ მუშაობა დაიწყო ჩვენი ქვეყნის ხალხების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წარსულ არჩევნებში საბჭოთა ადამიანებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ურყევი ერთიანობა, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

უპასუხებენ რა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, როგორც მშრომელთათვის სტალინური ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებას, საბჭოთა ადამიანები ამრავლებენ თავიანთ შრომითს წარმატებებს. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. შემოქმედებითი პათოსით გამსჭვალული საბჭოთა ხალხი გარდაქმნის ბუნებას, აშენებს მსოფლიოში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებსა და არხებს. საბჭოთა კავშირის მშრომელები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე დამცველნი, ბოლშევიკური პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდიან კომუნიზმისაკენ.

კავშირის საბჭოში

დღის 2 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი**, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **ა. ი. კირიჩენკო, ტ. მ. ზუევა, ა. ი. სნეჩკუსი, ა. ი. ნიაზოვი.**

მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის, გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვის, ა. ა. ანდრეევის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, მ. ა. სუსლოვის, პ. კ. პონომარენკოს** გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

დეპუტატი იასნოვი პალატის სხდომას ხსნის და სიტყვას აძლევს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ა. მ. პუზანოვს მოხსენებისათვის ოთხ საარჩევნო ოლქში, გასული დეპუტატების ნაცვლად, არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

დეპუტატი პუზანოვი აცხადებს, რომ ოთხსავე საარჩევნო ოლქში არჩევნები მოხდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

ვოლოგდის ოლქის ველიკი უსტიუგის № 120 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **ა. მ. კუზმინსკი**, ბრიანსკის ოლქის ნოვოზიბკოვის № 108 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **ვ. ვ. ბუზდინი**, სვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკის № 284 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **პ. ნ. აპლაევი**, უკრაინის სსრ ლვოვის ოლქის ლვოვის № 456 საქალაქო საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **გ. ს. კიაკი.**

დეპუტატი **ი. პ. ბოიცოვის** წინადადებით ერთხმად მტკიცდება სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს ყველა ახლადარჩეული დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

დეპუტატი იასნოვი აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები.

1. სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
2. მშვიდობის დაცვის კანონის მიღება.
3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატ **ბ. თ. ნიკოლაევის** წინადადებით ერთხმად მიღებულია დადგენილება ეს საკითხები შეტანილ იქნას დღის წესრიგში.

შემდეგ დეპუტატ **ნ. გ. იგნატოვის** წინადადებით სესიამ მიიღო დღის წესრიგის საკითხთა განხილვის რიგი. გადაწყდა მოხსენება სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. საბიუჯეტო კომისიების თანამომხსენებათა მოსმენა, ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება მოხდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე. აგრეთვე ცალცალკე სხდომებზე მოხდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა და დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი. გადაწყდა მშვიდობის დაცვის კანონის მიღების საკითხი განხილულ იქნას ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. გადაწყდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების მოსასმენად პალატების გაერთიანებული სხდომა გაიმართოს 7 მარტს საღამოს 7 საათზე.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს სხდომა.

ეროვნებათა საბჭოში

დღის 4 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. კრემლის სასახლის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ თექვსმეტივე ძმური მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ვ. შაიახმეტოვი**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **მ. ტ. იაკუბოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ტ. ლაცისი, თ. მ. მათიაშვილი.**

შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ა. ი. მიქოიანის, ნ. ა. ბულგანინის, ა. ნ. კოსიგინის, ნ. მ. შვერნიკის, მ. თ. შკირიატოვის** გამოჩენას.

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

თავმჯდომარე დეპუტატი შაიახმეტოვი სხდომას გახსნილად აცხადებს. სიტყვა ეძლევა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. გ. კებინს.**

დეპუტატი კებინი იუწყება, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესაბამისად სამ საარჩევნო ოლქში მოხდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატებისა. აფხაზეთის ასსრ სოხუმის № 406 სასოფლო საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **გ. გ. თვალჭრელიძე**, ყირგიზეთის სსრ კალინინის № 258 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **ტ. ტურგუმბაევა**, უზბეკეთის სსრ ანდიჟანის № 83 სასოფლო საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **ი. იუსუპოვი.**

დეპუტატ **ი. მ. ფილიპოვის** წინადადებით ერთხმად მტკიცდება სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს ყველა ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
2. მშვიდობის დაცვის კანონის მიღება.
3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატ **პ. ა. აბრასიმოვს** შეაქვს წინადადება ეს საკითხები შეტანილ იქნას დღის წესრიგში. წინადადებას ერთხმად იღებენ.

დეპუტატ **გ. მ. ჰასანოვის** წინადადებით სესია იღებს დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ რიგს. მოხსენება სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. საბიუჯეტო კომისიების თანამომხსენებათა მოსმენა, ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება — პალატების ცალცალკე სხდომებზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება მოხდეს აგრეთვე ცალცალკე სხდომებზე. მოხსენება მშვიდობის დაცვის კანონის მიღების საკითხზე მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ეროვნებათა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: ორივე პალატის პირველი გაერთიანებული სხდომა გაიმართოს 7 მარტს საღამოს 7 საათზე, რომელზეც მოსმენილ იქნას მოხსენება სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის ცალკე ნაწარმოებთა გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ვ. ი. ლენინის სტატია „კოოპერაციის შესახებ“. სტატია იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის ტექსტის მიხედვით.

ცალკე ბროშურად გამოიცა აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო“, რომელიც დაიწერა 1893 წლის შემოდგომაზე. ვ. ი. ლენინის ეს ნაშრომი გახდა ძლიერი იარაღი ნაროდნიკობისა და „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში; იგი ვრცელდებოდა პეტერბურგისა და სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ამ ნაშრომის ხელნაწერი, რომელიც სამუდამოდ დაკარგულად ითვლებოდა, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის განკარგულებაში გადაცემულ იქნა მხოლოდ 1937 წელს და პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ბოლშევიკის“ № 21-ში 1937 წელს.

ეს ნაშრომი იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის ტექსტის მიხედვით.

თითოეული ბროშურის ტირაჟია 200 ათასი ცალი. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. მ. პ. გიორგაძე დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო ამხ. ი. ი. პატიაშვილი გაათავისუფლა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. (საქდესი).

ვოლგა-დონის არხის ტრასაზე

ციმლიანსკაია (როსტოვის ოლქი), 5 მარტი. (საკდესი). ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლობის მექანიზატორები ერთმანეთს ეჯიბრებიან მექანიზმების მუშაობის სარემონტთაშორისო ვადების განგრძობისათვის.

წარჩინებულმა მეექსკავატორემ ამხ. დუხონინმა ნორმით გათვალისწინებული ორი ათასი საათის ნაცვლად თავისი მანქანით ურემონტოდ უკვე იმუშავა სამი ათას საათზე მეტ ხანს. მან ვალდებულება იკისრა ჰიდროკვანძის მშენებლობის დამთავრებამდე ამუშაოს ექსკავატორი კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად. მის მაგალითს სხვა მექანიზატორებმა მიბაძეს.

მიწის კაშხალის მარჯვენა ნაპირის ნაწილის მშენებლებმა გააჩაღეს ბრძოლა თითოეული კუბური მეტრი გრუნტის ამოღების თვითღირებულების 10 პროცენტით შემცირებისათვის. „ფუნდამენტსტროის“ პირველი უბნის მშენებელთა შორის გაჩაღებულია შეჯიბრება გრუნტში ლითონის ნარანდების [illegible]

[illegible]

ტყესაცავი ზოლები თურქმენეთის მთავარი არხის ტრასის გაყოლებით

აშხაბადი, (საკდესი). [illegible]

უნივერსალური სამელიორაციო აგრეგატი

[illegible]

პროპაგანდისტის დასახმარებლად

ბოლშევიკური პარტიის X ყრილობა

ორი პერიოდის მიჯნაზე — როდესაც საბჭოთა ხელისუფლება გამოდიოდა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან და იწყებდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლას, 30 წლის წინათ, 1921 წლის 8-16 მარტს შეიკრიბა ბოლშევიკური პარტიის X ყრილობა.

X ყრილობის მნიშვნელობა მეტად დიდია. მან ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხები განიხილა: მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის შესახებ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასვლის შესახებ; განსაზღვრა პროფკავშირების როლი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში; დაგმო ყოველგვარი ანტიპარტიული დაჯგუფებანი და მიმდინარეობანი პარტიაში და მიიღო გადაწყვეტილება პარტიის ერთიანობის შესახებ; მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული საკითხის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო სოციალისტური ერების განვითარებასა და აყვავებას, და სხვ.

* * *

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენმა პარტიამ საფუძველი ჩაუყარა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე. „პროლეტარულმა დიქტატურამ ჩვენში თავისი აღმშენებლობითი მუშაობა დაიწყო არა სამხედრო კომუნიზმით, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არამედ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების გამოცხადებით... იგი, ეს პოლიტიკა, დროებით შეწყვეტილ იქნა ინტერვენციის ვითარებით, და საჭირო გახდა დავბრუნებოდით მას მხოლოდ სამი წლის შემდეგ, როცა ბოლო მოვუღეთ ომსა და ინტერვენციას" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 161).

უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყნის მთელი შესაძლებლობანი ფრონტის ინტერესებს დაუმორჩილეს. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა არა მარტო ნაციონალიზებული მსხვილი მრეწველობა, არამედ საშუალო და წვრილი მრეწველობაც, რათა დაეგროვებინა მასობრივი მოხმარების საქონელი და ამ საქონლით მოემარაგებინა არმია და სოფელი; შემოიღო პურით ვაჭრობის მონოპოლია, აკრძალა პურის კერძო ვაჭრობა და დაწესა სასურსათო გაწერა, რათა აღერიცხა გლეხების მთელი ჭარბი სურსათი, დაეგროვებინა პურის მარაგი და მოემარაგებინა მრავალმილიონიანი არმია და მუშათა კლასი. საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო აგრეთვე სავალდებულო შრომითი ბეგარა ყველა კლასისათვის.

ღონისძიებათა ამ სისტემამ, რომელიც სამხედრო კომუნიზმის სახელით არის ცნობილი, განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-ეკონომიური კავშირი და საბჭოთა ხელისუფლებას მტრებთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვა. მაგრამ ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის უკანასკნელ წლებში სამხედრო კომუნიზმის მთელი სისტემა შეეჯახა გლეხობის ინტერესებს, ხოლო მისი სავსებით დამთავრების შემდეგ—მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში გენიალური გადაწყვეტა ჰპოვა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალმა ეტაპმა—ამ ორი კლასის სამეურნეო თანამშრომლობამ.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სასურსათო გაწერა შეცვალა სასურსათო გადასახადით. ნატურალური სასურსათო გადასახადი, რომელსაც იგი აწესებდა, უფრო ნაკლები იყო, ვიდრე გლეხს სასურსათო გაწერა ავალებდა, ამასთან ზუსტად იყო დადგენილი არა მარტო გადასახადის რაოდენობა, არამედ მისი გამოცხადებისა (იგი გლეხისათვის უნდა გამოეცხადებინათ საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე) და ხელისუფლების ორგანოებისათვის ჩაბარების ვადები.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ გლეხს უფლება ეძლეოდა თავისუფლად გაეყიდა მთელი ნამეტი პროდუქტი, რომელიც მას სახელმწიფო გადასახადის გასტუმრების შემდეგ რჩებოდა. ეს აძლიერებდა მის ინტერესს მეურნეობისადმი, იგი ცდილობდა გაედიდებინა ნათესი ფართობები და შეძლებისდაგვარად, რამდენადაც ინდივიდუალური მეურნეობის პირობებში იყო მოსახერხებელი, ეზრუნა მოსავლიანობის ზრდისათვის. ხოლო იმ ფაქტით, რომ წინასწარ ცხადდებოდა გადასახადის რაოდენობა, გლეხს წინასწარ შეეძლო აეღო ვარაუდი ნამატ პროდუქტზე და მისგან მოსალოდნელ სარგებლობაზე.

ანიჭებდა რა გლეხს ზედმეტი პროდუქტის თავისუფლად გაყიდვის უფლებას, ამით ახალი ეკონომიური პოლიტიკა უშვებდა ვაჭრობის თავისუფლებას. ვაჭრობის თავისუფლება, — ამბობდა ლენინი,—პირველ ხანებში გამოიწვევს კაპიტალიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას, მოგვიხდება დავუშვათ კერძო ვაჭრობა და ნება დავრთოთ კერძო მრეწველებს გახსნან წვრილი საწარმონი. მაგრამ ამისი არ უნდა გვეშინოდეს. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ვაჭრობის თავისუფლება **განსაზღვრულ ფარგლებში, განსაზღვრულ ჩარჩოებში, როდესაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მოწესრიგებელი როლი ბაზარზე**" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამ., გვ. 296).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება უკანდახევა იყო, მაგრამ ეს იყო დროებითი უკანდახევა, ტაქტიკური ნაბიჯი, რათა პროლეტარულ სახელმწიფოს გაემაგრებინა თავისი ზურგი და მოემზადებინა ნიადაგი ახალი, უფრო დიდი შეტევისათვის.

პროლეტარიატის დიდი ბელადები წინასწარ ჰვრეტდნენ, რომ რამდენადაც ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, ხოლო მრეწველობა, ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობა, ბანკები — პროლეტარული სახელმწიფოს ხელში, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება, რაც საქონელბრუნვის თავისუფლების დაშვებასთან იყო დაკავშირებული, ჩვენთვის საშიში არ იქნებოდა. წინასწარ იყო გათვალისწინებული, რომ საქონელბრუნვაში კერძო ვაჭრებსა და სპეკულანტებს დაუპირისპირდებოდა ორგანიზებული სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა და მას თანდათან მოსპობდა.

სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ მობრუნებას ლენინი ადარებდა ციხესიმაგრის იერიშიდან მის ალყაზე გადასვლას. საჭირო იყო დროებით უკანდახევა, ძალების მოკრება, ხოლო შემდეგ კვლავ შეტევის გაჩაღება. „არა შეტევითი იერიში,—ამბობდა ლენინი,— არამედ ფრიად მძიმე, ძნელი და უსიამოვნო ამოცანა ხანგრძლივი ალყისა, რომელიც დაკავშირებულია მთელ რიგ უკანდახევასთან. აი რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ მივუდგეთ ეკონომიური საკითხის გადაწყვეტას, ე. ი. სოციალიზმის საფუძველზე ეკონომიური გადასვლის უზრუნველყოფას" (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 70).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, პარტიის XI ყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ უკანდახევა დამთავრდა, და წამოაყენა კერძო სამეურნეო კაპიტალზე შეტევის მომზადების ლოზუნგი. ლენინმა აღნიშნა, რომ უკანდახევით პარტია დაუახლოვდა თავის ბაზებს და ახლა მთელ მასებთან ერთად მიდის წინ.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავდა გაფართოებულ ბრძოლას მომაკვდავ კაპიტალიზმსა და მზარდ სოციალიზმს შორის. „ვინ-ვის?", — ასე იდგა საკითხი. ლენინი უდიდეს რწმენას გამოთქვამდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მოხერხებული მომარჯვებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი გაიმარჯვებდა.

ლენინისა და სტალინის სტრატეგიული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ უწინარეს ყოვლისა გაძლიერებულიყო მიწათმოქმედების საწარმოო ძალები, გაშლილიყო საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, შექმნილიყო ნედლეულისა და სურსათის ბაზა მრეწველობის განვითარებისათვის. ეს ამოცანები პარტიამ გადაწყვიტა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში (1921-1925 წლები). ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეორე პერიოდში პარტიამ გაჩაღა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის (1926-1929 წლები), რომელმაც მთელ წინანდელ მუშაობასთან ერთად შექმნა წანამძღვრები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის (1930-1934 წლები).

1936 წელს მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ" ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე საბჭოთა ხალხისა და მისი სახელოვანი ხელმძღვანელის — ბოლშევიკური პარტიის მიერ მოპოვებული მიღწევები და აღნიშნა, რომ „ჩვენ გვქონდა ნეპის უკანასკნელი პერიოდი, ნეპის დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამ., გვ. 633).

განავითარა რა ლენინის დებულებები, ამხანაგმა სტალინმა გააკეთა უმნიშვნელოვანესი დასკვნა იმის შესახებ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. თავის სიტყვაში „კომინტერნის პროგრამის შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1928 წლის 5 ივლისს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „განა შეუძლიათ უნეპოდ იოლად წასვლა კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათგან თუნდაც ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს? მე ვფიქრობ, რომ არ შეუძლიათ. ამა თუ იმ სახით ახალი ეკონომიური პოლიტიკა მისი საბაზრო კავშირურთიერთობითა და ამ საბაზრო კავშირურთიერთობის გამოყენებით აბსოლუტურად აუცილებელია თვითეული კაპიტალისტური ქვეყნისათვის პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

...ნეპი სოციალისტური რევოლუციის გარდუვალი ფაზაა ყველა ქვეყანაში" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 159-160).

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების შედეგად იქნა მოპოვებული, საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევები სტალინური ხუთწლედების პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. ამ მაგალითს სახალხო დემოკრატიის ქვეყნები პირდაპირი გზით მიჰყავს სოციალიზმისაკენ, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს იგი ჰმატებს ძალასა და ენერგიას მათ ბრძოლაში ექსპლოატატორული კლასების დამხობისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

* * *

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა მოითხოვდა პარტიის ძალთა უდიდეს დაძაბვას, მაღალ ორგანიზებულობას, ყველა მისი ორგანიზაციის ნებისა და მოქმედების ერთიანობას. ამავე დროს ამ პერიოდში სხვადასხვა ანტიპარტიულმა დაჯგუფებამ—ტროცკისტებმა, „მუშათა ოპოზიციამ", „მემარცხენე კომუნისტებმა", „დემოკრატიულმა ცენტრალისტებმა" და სხვ. — იერიში მიიტანეს პარტიის ლენინურ-სტალინურ ხელმძღვანელობაზე, რათა მოეხდინათ მისი დეზორიენტაცია, უფსკრულში გადაეჩეხათ პარტია.

იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ამ გარეწართა ჯგუფები უმზადებდნენ პარტიას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა X ყრილობის გადაწყვეტილებას პარტიის ერთიანობის შესახებ.

ყველა ეს ოპოზიციური ჯგუფები გაერთიანებული იყვნენ ლენინიზმისადმი სიძულვილით, მათ არ სწამდათ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, არ სწამდათ, რომ მუშათა კლასს შეუძლია უხელმძღვანელოს და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩააბას გლეხობა. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ისინი ხედავდნენ მხოლოდ უკანდახევას — იმას, რომ იგი იწვევდა კაპიტალიზმის ერთგვარ აღორძინებას, მაგრამ ვერ ხედავდნენ მის მეორე მხარეს, იმას, რომ იგი გულისხმობდა „სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, ...კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას, ...კლასების მოსპობას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 398).

ტროცკისტებმა გაილაშქრეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე პროფკავშირების შემობრუნების წინააღმდეგ. X ყრილობის წინ მათ ამ საკითხზე პარტიას თავს მოახვიეს დისკუსია. ტროცკისტები მოითხოვდნენ პროფკავშირების „შენჯღრევას" და მათ დაუყოვნებლივ გასახელმწიფოებრივებას, მოითხოვდნენ გაგრძელებულიყო და გაძლიერებულიყო სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა, ცდილობდნენ აღმზრდელობითი ზომები, რომლებსაც პარტია სოციალისტურ მშენებლობაში მასების ჩასაბმელად მიმართავდა, შეეცვალათ შიშველი ადმინისტრირების, იძულებისა და მბრძანებლობის ზომებით, რაც უსათუოდ გამოიწვევდა უპარტიო მასების ამხედრებას პარტიის წინააღმდეგ, პროფკავშირებს დაუკარგავდა აღმზრდელობითი როლის—„კომუნიზმის სკოლის" ფუნქციებს, დაღუპავდა პროლეტარიატის დიქტატურას. დისკუსია პროფკავშირების შესახებ მარტო პროფკავშირების როლის საკითხით როდი ამოიწურებოდა. აქ უმთავრესად საქმე ეხებოდა პარტიის დამოკიდებულებას გლეხობისადმი, პარტიის დამოკიდებულებას მუშათა უპარტიო მასებისადმი იმ პერიოდში, როცა სამოქალაქო ომი უკვე დამთავრებული იყო. „მუშათა ოპოზიცია" „მარცხნიდან" აკრიტიკებდა პარტიას. იმის გამო, რომ პარტიამ ინდუსტრიის განვითარება სოფლის მეურნეობის განვითარებით დაიწყო, იგი ბრალად დებდა პარტიას გლეხობისაკენ გადახრას, მუშათა კლასის ინტერესების დავიწყებას, „მუშათა ოპოზიციას" არარაობამდე დაჰყავდა პარტიის როლი, უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობას სამეურნეო მშენებლობაში და წინადადებას იძლეოდა, რომ მთელი სახალხო მეურნეობის მმართველობა გადასცემოდა „მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას".

პარტიის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად პარტიის რიგების დარაზმვისათვის განსაკუთრებული როლი შეასრულეს ლენინის მიერ დაწერილმა და X ყრილობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა „პარტიის ერთიანობის შესახებ" და „ჩვენს პარტიაში სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ". ამ გადაწყვეტილებებში ყრილობამ აღნიშნა უდიდესი საფრთხე, რასაც ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის წარმოადგენდა პარტიაში ჯგუფებისა და ფრაქციების არსებობა, დაგმო ისინი და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს გაეძლიერებინა ბრძოლა მათი ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. „პარტიის ერთიანობის შესახებ" ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის მე-7 პუნქტი არ ყოფილა გამოქვეყნებული. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ პარტიის მტრებმა, განსაკუთრებით ლენინის ავადმყოფობის პერიოდში, გააძლიერეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა, იგი გამოაქვეყნა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში პარტიის XIII კონფერენციაზე 1924 წლის 17 იანვარს. ამ პუნქტის მიხედვით X ყრილობა რწმუნებას აძლევდა ცენტრალურ კომიტეტს „...დისციპლინის დარღვევის ან ფრაქციონობის განახლების თუ დაშვების შემთხვევაში... მიმართოს პარტიული სასჯელის ყველა ღონისძიებას, თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ — მათს გადაყვანას კანდიდატებად და, როგორც უკიდურეს ღონისძიებას, პარტიიდან გარიცხვასაც". (ი. სტალინი, თხზ. ტ. 6, გვ. 29).

X ყრილობის გადაწყვეტილებამ პარტიის ერთიანობის შესახებ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის მთელ შემდგომ ცხოვრებაში. პარტია დაირაზმა ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, გაანადგურა ყველა ჯგუფი და ფრაქცია, ყველა კაპიტულანტი და ურწმუნო და წავიდა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ლენინური გზით.

* * *

ბოლშევიკური პარტიის X ყრილობა ისტორიული ეტაპი იყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების საქმეშიც. ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი ეროვნულ საკითხზე. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ეროვნული პრივილეგიები და გამოაცხადა ერთა თანასწორუფლებიანობა. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად როდი იყო დანერგილი ერების სოციალისტური განვითარების პრინციპები. პარტიის ამოცანა იყო დახმარებოდა ცალკეულ ერებს, რათა მათ მთლიანად გამოეყენებინათ მათთვის უზრუნველყოფილი „უფლება თავისუფალი განვითარებისა" (სტალინი).

ყრილობაზე „მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში" გააკეთა ამხანაგმა სტალინმა. „...ნაციონალური საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ მოვსპოთ ზოგიერთი ერის ის ფაქტიური ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული), რომელიც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც" (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 42).

ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო საბჭოთა ქვეყანაში შემავალ ეროვნებათა განვითარების ფართო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა დახმარებას არარუსი ხალხების მშრომელი მასებისადმი—მათი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, მრეწველობისა და სამრეწველო პროლეტარიატის შექმნას ამ ქვეყნებში, მშობლიურ ენაზე მოქმედი ადმინისტრაციის, სასამართლოს, მეურნეობის ორგანოების მოწყობას, ადგილობრივი კადრების მომზადებას, მშობლიურ ენაზე სკოლების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის შექმნას, ეროვნული ინტელიგენციის აღზრდას და ა. შ.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა ორგვარი გადახრა ნაციონალურ საკითხში. პირველი გადახრა — დიდმპყრობელური (ველიკორუსული) შოვინიზმი მდგომარეობდა მისწრაფებაში — ძირი გამოეთხარათ ხალხთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრინციპისათვის და ჩაეშალათ პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. მეორე გადახრა — ადგილობრივი ნაციონალიზმი — წარმოადგენდა იმის ცდას, რათა ყოველმხრივ გაეზვიადებინათ ეროვნული თავისებურებანი, განცალკევებულიყვნენ და ჩაკეტილიყვნენ თავიანთ ეროვნულ ჩარჩოებში, მიეჩქმალათ კლასობრივი წინააღმდეგობანი თავიანთი ერის შიგნით. ეს გადახრები ნიშნავდა ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისაგან უკანდახევას ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ. გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ უკავშირდებოდა წინათ ჩაგრული ერების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს, ასუსტებდა საბჭოთა ხალხის ერთიანობას, ხელს უწყობდა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ორივე ეს გადახრა უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ყრილობის ყურადღება გაამახვილა მათთან ბრძოლის აუცილებლობაზე.

X ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ხალხთა თანასწორობის უფლების ფაქტიური განხორციელებისა და ერთიან ოჯახად მათი შეკავშირების საქმეში. ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა ხალხთა ურთიერთდახმარების ისეთი სისტემა, რომელმაც უზრუნველყო წინათ ჩამორჩენილი ერების დაწინაურება.

დიდმა სამამულო ომმა ბრწყინვალედ დაადასტურა ლენინურ - სტალინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადე. ფაშისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ძალების დამარცხებასა და განადგურებაში უდიდესი იყო ხალხთა სტალინური მეგობრობის როლი. საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ერთ საბრძოლო ბანაკად გადაიქცნენ და დაამარცხეს პროგრესული კაცობრიობის უბოროტესი მტრები — ჰიტლერული გერმანია და იმპერიალისტური იაპონია.

* * *

ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიისა და ხალხის მტრებმა—ტროცკისტებმა და ბუხარინელებმა გააძლიერეს თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ეყრდნობოდა რა X ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ულმობლად გაანადგურა ისინი. X ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებამ განამტკიცა ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

გ. სიხარულიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „გმირი დედის" საპატიო წოდება მიენიჭათ და „გმირი დედის" ორდენით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოებულ იქნენ დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი.

1. **ალავიძე** ელისაბედ ანტონის ასული—საქართველოს სსრ ცაგერის რაიონის სოფელ ზედა საირმეს კოლმეურნეობის წევრი.

2. **ბარბაქაძე** ქსენია ერმილეს ასული—საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სოფელ რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **გუცაშვილი** სოფიო კონსტანტინეს ასული—საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფელ ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **ელოშვილი** ნინო ალექსის ასული—დიასახლისი, საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედი.

5. **ვართანოვა** არცვიკ არისტაკეს ასული—დიასახლისი, ქალ. ახალციხე, საქართველოს სსრ.

6. **კატანჯიანი** რიპსიმე სიმონის ასული—დიასახლისი, ქალ. თბილისი, საქართველოს სსრ.

7. **ლაცაბიძე** ეკატერინე სიმონის ასული—საქართველოს სსრ ახალციხის რაიონის სოფელ ბოგას კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

8. **მარტიროსოვა** მანიაკ ბეგლარის ასული—საქართველოს სსრ დმანისის რაიონის სოფელ დმანისის კოლმეურნეობის წევრი.

9. **მეგრელიძე** თუნთულ უსუფის ასული—აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

10. **მიქელაძე** ფადიმე რეჯების ასული—აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

11. **ნიარ ალი ყზი** — დიასახლისი, საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის სოფელი არუხლო.

12. **რიჟვაძე** მინადორა ალექსანდრეს ასული—დიასახლისი, საქართველოს სსრ ვანის რაიონის სოფელი ძულუხი.

13. **ურნუხა მამედ ყზი**—საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის სოფელ მუშევანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

14. **ჩავლეიშვილი** შადიე კერიმანის ასული—აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ კახაბერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

15. **ჩილინგარაშვილი** თამარ ივანეს ასული—საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

16. **ჩურკვეიძე** აიშე მემედის ასული—აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

17. **ცინცაძე** ემინე ხუსეინის ასული—აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ კირნათის კოლმეურნეობის წევრი.

18. **ხატინ მამედ ყზი**—საქართველოს სსრ ქალაქ თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ მსხალდიდის კოლმეურნეობის წევრი.

19. **ხანიმ მამედ ყზი** — საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის კოლმეურნეობის წევრი.

20. **ხვედელიძე** მატრონა აქსენტის ასული—საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სოფელ რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

21. **ჯანაშვილი** სარა რაფიელის ასული—დიასახლისი, საქართველოს სსრ საჩხერის რაიონი, დაბა საჩხერე. (საქინფორმი).

თბილისის სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ჩვენში თანდათანობით ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, უფრო და უფრო უმჯობესდება პოლიკლინიკებსა, ამბულატორიებსა, სამშობიარო სახლებსა და საავადმყოფოებში პაციენტთა მომსახურება, თანმიმდევრულად ხორციელდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებანი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა თბილისის საავადმყოფოებში ავადმყოფთა მომსახურება. ამ მხრივ საყურადღებოა ალადაშვილის სახელობის ქალაქის მეორე კლინიკური საავადმყოფო (მთავარი ექიმი ა. ხეროდინაშვილი). აქ მკურნალობის, სისუფთავის, კვებისა და გათბობის საქმე კარგადაა მოწყობილი.

ქალაქის ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ი. ჩიკვაიძე) გულისხმიერად და ყურადღებით ეპყრობიან ბავშვთა გამოჯანმრთელების საქმეს. ის, რაც აქ მომუშავე სამედიცინო პერსონალზეა დამოკიდებული, ზუსტად და დროულად ხორციელდება, მაგრამ ნორმალურ მუშაობას აქ ხელს უშლის მთელი რიგი მიზეზები. განსაკუთრებით ცუდადაა დაყენებული საავადმყოფოში პროდუქტების დროულად მიწოდების საქმე. გარდა ამისა, ამ საავადმყოფოს სამკურნალო კორპუსს საკმაოდ დაშორებულია სანგამტარი, რაც ხშირად იწვევს ისედაც ავადმყოფი ბავშვების გაციებას კორპუსში შესვლამდე. ქალაქის ბავშვთა II კლინიკურ საავადმყოფოს, სადაც დიდ მუშაობას ეწევიან ბავშვთა მოვლისა და მკურნალობისათვის, დღემდე არა აქვს ცენტრალური გათბობა, ეზო არ არის მოკირწყლული და გამწვანებული. ამავე დროს აქ მდგმურებიც ცხოვრობენ, რაც საავადმყოფოს მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ტუბინსტიტუტი (დირექტორი ი. უშვერიძე) დიდ მომსახურებას უწევს ტუბერკულოზით დაავადებულ მოქალაქეებს. მაგრამ მას სერიოზული ნაკლოვანებანიც აქვს. ინსტიტუტის სამკურნალო სტაციონარი ცუდად თბება. საავადმყოფო საკმაოდ არაა მომარაგებული მედიკამენტებით. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფებს კერძო ფასებში უხდებათ მედიკამენტების შეძენა. აღნიშნულ ინსტიტუტში ავადმყოფებმა არ იციან კუთვნილი ულუფა. ამიტომ ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას კონტროლი გაუწიონ გაცემული ულუფის სიზუსტეს.

ავადმყოფთა მკურნალობისა და მედიკამენტებით მომარაგების საქმე არც თბილისის ტუბსაავადმყოფოშია მოგვარებული (მთავარი ექიმი ზ. ზამბახიძე). ავადმყოფმა თ. ფ-მ იმავე საავადმყოფოს ავადმყოფს 6 გრამ სტრეპტომიცინში 1.200 მანეთი მისცა. შარშან 20 ოქტომბერს ექიმმა ლ. ღლონტმა საავადმყოფოდან გაწერა ღია ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული კ. ვ., რომელსაც წასვლის საშუალება არ ჰქონდა და სამი ღამე საავადმყოფოს დერეფანში იყო. საექიმო კომისიის დასკვნით, იგი კვლავ იმავე საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმი ლ. ღლონტი ასევე არაგულისხმიერად ეპყრობოდა ავადმყოფ ნ. პ-ს. გარდა ამისა, საავადმყოფოს თეთრეულის საშრობი არა აქვს, რის გამო გვიანდება თეთრეულის გამოცვლა.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი ქალაქის პირველ გაერთიანებულ კლინიკურ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი შ. ღლონტი). ეს დიდი საავადმყოფოა, მაგრამ პალატები ავადმყოფებით მეტად გადატვირთულია, მაგალითად, სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში ნაცვლად 110 ქალისა 121 წევს. მთელი რიგი პალატებს ნორმალურად არ თბება. პირველი ქირურგიული განყოფილების ავადმყოფებმა ამის გამო შემოწმებისას სამართლიანი უკმაყოფილება გამოთქვეს. მოუგვარებელია სამზარეულოს მუშაობაც. ერთი სამზარეულო ვერ უზრუნველყოფს საავადმყოფოს ყველა პალატას, რის გამო ბევრ ავადმყოფს ცივ სადილს აძლევენ. საავადმყოფოს ნორმალურ მუშაობას ხშირად ხელს უშლის წყლის უქონლობაც. ზედა პალატები როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის პერიოდში უზრუნველყოფილი არ არის წყლით, რაც სისუფთავის დაცვას და ავადმყოფთა მომსახურებას საგრძნობლად ართულებს.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიურ საავადმყოფოსა და დისპანსერში (მთავარი ექიმი დ. შოთაძე), სადაც წყალი და სინათლე ხშირად არ არის. საავადმყოფოს, რომელიც კონსულტაციასა და ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის რაიონების ყველა ონკოლოგიურ პუნქტს, თავისი სპეციფიკური მუშაობის მიხედვით უნდა ჰქონდეს ონკოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რაც სრულყოფილს გახდის მის მუშაობას.

ავადმყოფისადმი უგულგულო დამოკიდებულების ფაქტები, სამწუხაროდ, ქალაქის ზოგიერთი პოლიკლინიკის მუშაობაშიც გვხვდება. მოქალაქე ვ. პრიკაშვილი (ანაგის ქ. № 14) დაავადებულია ჰიპერტონიით. 15 იანვარს მან ორჯონიკიძის რაიონის მე-8 პოლიკლინიკიდან ექიმი გამოიძახა. ავადმყოფთან ექიმი ნ. კაპანაძე გამოცხადდა. საჭირო გახდა, რომ ავადმყოფი ნევროპათოლოგ ნ. გარაყანიძეს გაესინჯა, მაგრამ ეს უკანასკნელი მის ბინაზე არ წავიდა. ასევე მოიქცა იგი 9 თებერვალს, გამოძახების დღის ნაცვლად მხოლოდ მეორე დღის 2 საათზე გამოცხადდა. ექიმი ნ. გარაყანიძე ასევე უგულგულოდ მოეპყრო ავადმყოფ გ. რუდნევს (ბროლოსნის ქ. № 12), მაგრამ მის მიმართ ზომები არავის მიუღია.

თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას მე-17 პოლიკლინიკის ზოგიერთი ექიმიც. მოქალაქე ნ. ყარსიმაშვილი (საბჭოს შესახვევი № 4), რომელსაც ქირურგიული დახმარება ესაჭიროებოდა, ინახულა ქირურგმა მ. ბერიკელაშვილმა. ამ უკანასკნელმა სიცხიანი ავადმყოფი, ნაცვლად ადგილზე დახმარების აღმოჩენისა, მეორე დღისათვის კლინიკაში დაიბარა. ავადმყოფი კლინიკაში თავის დროზე გამოცხადდა, მაგრამ მთელ დღეს ალოდინეს, და სანამ საქმეში რეიდის მონაწილენი არ ჩაერიეთ, ქირურგმა მ. მესხმა იგი არ მიიღო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ მუდმივი კონკრეტული ხელმძღვანელობა ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი, ქმედითი დახმარება გაუწიონ ექიმ-სპეციალისტებს მათს კეთილშობილურ საქმეში, ხელი შეუწყონ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

რეიდის მონაწილენი:

დ. სურგულაძე
მ. ლირდილაძე
კ. კაჭახიძე
ა. პატარაია

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს—კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს!

★

ცხოვრების ფართო გზაზე

სამართლიანად ამაყობს აჭარა სოფლის მეურნეობის მოწინავე ქალებით, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს კულტურის უხვი მოსავლის გამოჩენილი ოსტატებით, სოციალისტური შრომის გმირებით.

ფართოდ ცნობილია ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურის, სოფლის მეურნეობის გაბედული ნოვატორის, სოციალისტური შრომის გმირის ასმათ ჯიჯავაძის სახელი. რამდენიმე წელია მას ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი მოჰყავს. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ შარშან სპეციალურად განიხილა მისი გამოცდილების გავრცელების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ასმათის ქალიშვილი გული ჯიჯავაძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, როცა სოციალისტური შრომის გმირობა მიიღო.

იმავე რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 12 სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს, მათ შორის ბევრია ქალი.

უკეთესი უკეთესთა შორის — ასე უწოდებენ თანასოფლელები ამ კოლმეურნეობის მერგოლეურს, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის გამოჩენილ ოსტატს, სოციალისტური შრომის გმირს გული ჯინჭარაძეს. იგი ყოველწლიურად ზრდის ჩაის მოსავლიანობას. გასულ წელს ნახევარ ჰექტარზე მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 12.400 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. თანასოფლელებმა იგი მოსკოვში მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციაზე დელეგატად გაგზავნეს. წელს გული ჯინჭარაძე ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ქედის რაიონის მშრომელები სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატს, სოციალისტური შრომის გმირს ასიე ჯინჭარაძეს.

ბევრი მოწინავე ქალი ჰყავს ხულოს რაიონსაც. სოფელ წაბლანას 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა მერგოლეურმა უნქერ ბოლქვაძემ, რომელსაც თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის გასულ წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. უ. ბოლქვაძე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელმას ცეცხლაძე უკვე მეექვსე წელია უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობა „შრომის წყაროს". რაიონის მოწინავე ქალთა რიცხვს ეკუთვნის ცნობილი მწველავი ქალი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფატყუმე წულუკიძე.

შორს გაითქვა სახელი ბათუმის რაიონის წარჩინებულმა მეჩაიე ქალმა სოციალისტური შრომის გმირმა ვასპიე ბრუნჯაძემ. ამას ნათლად მოწმობს მის სახელზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მიღებული ასობით წერილი.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე მდებარე აყვავებულ საბჭოთა სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ზინაიდა მემიშიში სოციალისტური შრომის გმირია. ეს წოდება მან ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მოყვანისათვის დაიმსახურა.

ბევრი აჭარელი ქალი დაწინაურებულია პასუხსაგებ სამუშაოზე.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აიშე გურგენიძე ამჟამად აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრია. სკოლის ყოფილი დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზიკო გოგიტიძე პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნად არის დაწინაურებული.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ გაიზარდა და ამაღლდა, როგორ გამოვიდა ცხოვრების ფართო გზაზე, როგორ გარდაქმნა თავისუფალმა სოციალისტურმა შრომამ წინათ ყველაზე დაბეჩავებული და განაწამები აჭარელი ქალი.

დ. პაიჭაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

დახმარება დედებს

გორის რაიონში 4.716 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედაა. მათ რიცხვში 1.845 დედა დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 15 ქალს მინიჭებული აქვს „გმირი დედის" წოდება. მრავალშვილიანი დედები ყოველწლიურად მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ. სოფელ ზერტის კოლმეურნეობის წევრმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატმა გმირმა დედამ ქეთევან ზუბიაშვილმა სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიიღო 50 ათასი მანეთი, ხოლო სოფელ სკრის კოლმეურნეობის წევრმა ნატალია კაბულაშვილმა — 45 ათასი მანეთი. 1944 წლიდან დღემდე გორის რაიონში მრავალშვილიან დედებს მიცემული აქვთ 10.500 ათასი მანეთი დახმარება.

★ ★ ★

ქართველ მუშას, ქართველ დედას ომი არა სურს

სტახანოველი ჭანჭიკამჭრელი

საქართველოს სახელი და დიდება შორს გაიტანა ქართველმა ქალმა თავისი გმირული და ღვაწლმოსილი შრომით, სამშობლოსადმი უანგარო სამსახურით...

ჩვენს ქვეყანაში შრომა სახელისა და ღირსების საქმედ იქცა. ქართველი ქალიც შრომისადმი დიდმა სიყვარულმა მიიყვანა დაზგებთან და სამჭედლო ქურებთან, ურთულეს მანქანებთან.

ბაბილინა ჯაყელი — უბრალო ქართველი ქალი, სტახანოვური შრომის ნოვატორი, ერთ-ერთი მათგანია, მამაკაცების მხარდამხარ რომ იბრძვის საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, უფრო ბრწყინვალე და ნათელი მომავლის — კომუნიზმისათვის. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროში მას დაგიხასიათებენ, როგორც მოწინავე ჭანჭიკამჭრელს, რომელიც თავის პროფესიას ჩინებულად და ზედმიწევნით დაეუფლა.

საინტერესოა ამ უბრალო ქართველი ქალის ცხოვრების გზა.

...1942 წლის ბობოქარ დღეებში, როცა პირსისხლიანი მტერი გაშმაგებით მოიწევდა კავკასიის მისადგომებისაკენ, ბაბილინა ჯაყელი ბათუმში ცხოვრობდა. სამშობლოსათვის ამ მრისხანე ჟამს მან ბათუმის ერთ-ერთ დიდ საწარმოს მიაშურა და მჭედლის პროფესიას დაეუფლა, თავდადებული, სტახანოვური შრომით თავისი წვლილი შეჰქონდა მტრის განადგურების საქმეში.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა აღდგენას მოითხოვდა. ომის დამთავრების პირველ წელსავე ბაბილინას ვხედავთ უკრაინაში. 1946 წლის 8 მარტს მან მუშაობა დაიწყო მჭედლად ხარკოვის ვაგონსარემონტო ქარხანაში. აქაც თავი გამოიჩინა შრომისმოყვარეობით, საწარმოო გეგმებს ორ-სამმაგად ასრულებდა. ქართველ ქალს სიამაყეს ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ უშუალოდ მონაწილეობდა ომით გაპარტახებული მოძმე უკრაინის მიწა-წყლის აღორძინებაში.

ხარკოვის ვაგონსარემონტო ქარხანაში ბაბილინა ჯაყელი დაუმეგობრდა უკრაინელ ქალიშვილს, მოწინავე მუშას ანა პავლენკოს. ქართველი ქალი უკრაინელ მეგობარს ანდობდა ყველა თავის ფიქრსა და აზრს. ეს მეგობრობა არ შეწყვეტილა მას შემდეგაც, რაც ბაბილინა მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მჭედლად დაიწყო მუშაობა. ეს იყო 1948 წელს. ბაბილინა ჯაყელმა მრავალი გულთბილი წერილი მიიღო უკრაინელი მეგობრისაგან, თვითონაც ბევრჯერ მისწერა საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე, თავისი ქარხნის მოწინავე ადამიანებზე.

სტალინის სახელობის ქარხანაში ბაბილინამ მჭედლად ერთ წელს იმუშავა. შემდეგ ახალ პროფესიას — ჭანჭიკამჭრელობას დაეუფლა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ქარხნის სახელგანთქმულმა სტახანოველმა ჭანჭიკამჭრელმა ეკატერინე ხუბულურმა.

ახლა ბაბილინა ორ დაზგაზე მუშაობს, ყოველდღიურად შეიდასის ნაცვლად ათას ორას ჭანჭიკს ამზადებს. ასეთი ენერგიული და დაუღალავი მუშაობის შედეგად სამ წელიწადში ექვსი წლისა და სამი თვის გეგმა შეასრულა. ამჟამად იგი დგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე.

ბაბილინა ჯაყელს ჰყავს მოწაფეები, მიმდევრები, რომლებიც მუშაობაში მას ბაძავენ, მაგალითად, კომკავშირელი ტასო ქოქუაშვილი, ანა კუზნეცოვა, გალია მუხინა. ისინი გეგმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

სამჭედლო საამქრო სამართლიანად ამაყობს სტახანოველი ქალებით. ამ საამქროში 25 ქალი მუშაობს. ისინი მამაკაცების მხარდამხარ იბრძვიან საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. თვითეული მათგანი ერთნაირი მონდომებით და გატაცებით ეწევა დიდ შრომას საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ორთქლის უროსთან

უზარმაზარი ურო მთელი სიმძლავრით ეცემა გრდემლს და საჭირო დეტალად აქცევს გავარვარებულ ლითონს. ეს ურო მოძრაობაში მოჰყავს ორთქლს. მაგრამ ორთქლის ურომ შეუფერხებლად რომ იმუშაოს, ამისათვის საჭიროა ადამიანის ხელი. უროს გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს პელაგია მახარაშვილი. 16 წელია ის ამ საქმეს დიდი ხალისითა და მონდომებით უძღვება, აწესრიგებს მჭედელთა მუშაობას.

საინსტრუმენტო საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა სტალინის სახელობის ქარხანაში. ორთქლის ურო რომ გაჩერდეს, მჭედელთა მუშაობაც შეფერხდება. ამიტომ სტახანოველი ქალი მთელი მონდომებითა და უნარით ხელს უწყობს მჭედელთა გამართულ მუშაობას, ერთი წუთითაც არ აბრკოლებს მათ.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს პელაგია მახარაშვილი ქარხნის მუშებში. შარშან დეკემბერში იგი ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ძას ხშირად ძიმართავენ მუშები რჩევისა და დახმარებისათვის. აღსანიშნავია მისი დამსახურება, როგორც ახალგაზრდა კადრების აღმზრდელისა. ამ უკანასკნელ ხანს მან შვიდ ახალგაზრდა მუშას შეასწავლა მეუროვეს პროფესია.

პელაგია მახარაშვილი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ღოლოვანში დაბადებულა, იქ გაზრდილა და დაქალებულა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გლეხის დღეები სიდუხჭირესა და ვაივაგლახში მიდიოდა. აკი ამიტომაც არ დაიდო პელაგიას ქმარი მუხთალმა რევოლუციამდელმა წუთისოფელმა: სხვისთვის მუშაობდა და განუწყვეტელ ჯაფაში დალია სული. პელაგიას ორი ბავშვი დარჩა... საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, ვინ იცის რა მოელოდა ამ ორ ობოლს. პელაგია მახარაშვილი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, შვილებს ასწავლა, და პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს. 1934 წლიდან კი სტალინის სახელობის ქარხნის მუშაა.

...როცა ქართველი დედა ორთქლის უროსთან ზის და გავარვარებული ლითონის ნაპერწკლები მის თვალწინ იფანტება, იგი წარმოიდგენს დიდი სამამულო ომის ცეცხლს, კარპატების შორეულ მთებს, თავისი ძვირფასი ვაჟიშვილის სახეს... მის თვალში ცრემლი აკიაფდება, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუშვებს საქმეს ხელს, დარდს გულში ჩაიკეტავს. იგი წყევლა-კრულვას უთვლის ომის ყოველ გამჩაღებელს, ხალხთა ხოცვა-ჟლეტის მსურველს. არა, ქართველ დედას ომი არა სურს, იგი აღარ დაუშვებს ომს. ამის თავდებია ის, რომ პელაგია მახარაშვილი და მილიონობით საბჭოთა ქალი მამაკაცებთან ერთად სჭედს მშვიდობის საქმეს.

უძლეველია ხალხი, რომელსაც ჰყავს დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე ადამიანები, სახელოვანი მამაკაცები და ქალები.

ს. არღუნელი

★ ★ ★

ისინი ბევრნი არიან

მიწის წიაღში გაცხარებული მუშაობაა. მაღაროელები გმირულად ებრძვიან მარგანეცის მაგარ ქანებს. აი ლენინის სახელობის მაღაროში ლავის გადამაგრება მიმდინარეობს. ეს ფრიად სერიოზული სამუშაოა. ამ საქმეზე დიდძალი სამაგრი მასალა იხარჯება. ამიტომ იყო, რომ ამ საკითხით დაინტერესდა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მადნეულის ბუდობთა დამუშავების კათედრა, რომელსაც აკადემიკოსი გ. წულუკიძე ხელმძღვანელობდა. აღნიშნული საკითხის დამუშავებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ინჟინრები ალექსანდროვი და შეყლაშვილი. მათ შეიმუშავეს გადასატანი ბიგების მოწყობილობა. წარმოებაში მის დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს სიახლე პირველად სწორედ ლენინის სახელობის მაღაროში დანერგეს, რასაც ინჟინერი ვენერა ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. იგი დიდად დაინტერესებულია ამ სიახლის ფართოდ დანერგვა-გამოყენებით, რადგან მარტო ამ მაღაროში ამან 300.000 მანეთის სამაგრი მასალის ეკონომია მოგვცა.

ინჟინერი ელენე დარახველიძე მარგანტრესტის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს უძღვება. მას ხშირად ნახავთ მაღაროებში. ესაუბრება ინჟინრებს, მუშებს წარმოების „ვიწრო ადგილების" შესახებ, მიმართავს მათ ტექნიკურ-შემოქმედებითს აზრს ახალი საკითხების გადაწყვეტისაკენ, გულისხმიერ და დამაჯერებელ კონსულტაციას უწევს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ესეც უწყობს ხელს წარმოების ნოვატორთა რიცხვის ზრდას. მარტო შარშან რაციონალიზატორების მიერ შემოტანილ წინადადებათა წლიურმა პირობითმა ეკონომიამ შვიდ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სამთო ტექნიკუმი წარმატებით დაამთავრა ლიუდმილა თავართქილაძემ და ათ წელზე მეტია კაგანოვიჩის სახელობის ?ალაროს ცვლის უფროსად მუშაობს. თეორიული ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით გაიმდიდრა და ახლა ერთ-ერთი მოწინავე ცვლის უფროსია, საქმიან მითითებებს აძლევს მუშებს, იბრძვის მეტი მარგანეცის ვამოღებისათვის. მართლაც ამხ. თავართქილაძის ცვლა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

მოწინავე ინჟინრები არიან ე. ჩხიკვაძე, რ. ფერაძე, ლ. ტოროშელიძე, თ. ზურაბიშვილი, მ. ლაბაძე და სხვა ქალები. ისინი იბრძვიან მეტი მარგანეცისათვის, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკებად ითვლებიან.

სალომე საყვარელიძე ორმოცი წელია მასწავლებლობს. ეს თმაშევერცხლილი ადამიანი ქალაქში საყოველთაო სიყვარულით არის მოსილი. იგი ჩვენს ახალგაზრდობას დიდი რუსი ხალხის ენას ასწავლის. მასწავლებელი ახალგაზრდებს უნერგავს სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილ გრძნობას. ამხ. საყვარელიძეს კიდეც დაუფასდა ამაგი. იგი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი და ლენინის ორდენოსანია. ახლახან მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა იგი მეორედ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ამხ. სალომე საყვარელიძე დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკიცაა. მას ნახავთ საქალაქო საბჭოში, სადაც თავის აზრს გამოთქვამს ქალაქის კეთილმოწყობის საკითხზე, ნახავთ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე მსჯელობენ, ნახავთ დიასახლისებთან, რომლებსაც ჩვენი მშვიდობისმოყვარე სამშობლოს საშინაო და საგარეო ვითარებაზე ესაუბრება.

ბევრი მოწინავე, წარჩინებული ქალი ჰყავს მარგანეცის ქალაქს. უანგარო შრომით მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეშახტეები

ნათელია საბჭოთა მეშახტე ქალის თამარ გიორგობიანის ცხოვრების გზა. იგი 1919 წელს დაიბადა ცაგერის რაიონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება თავის სოფელში მიიღო. 1937 წელს ქუთაისში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო აბრეშუმის კომბინატში მქსოველად.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხული იყო, როცა თ. გიორგობიანმა მტკიცედ გადაწყვიტა მეშახტე გამხდარიყო. სულ მალე ქუთაისის სამთო ტექნიკუმში შევიდა. ტექნიკუმიდან კი ტყიბულის ქვანახშირის შახტებს მიაშურა და სტალინის სახელობის შახტში ვენტილაციის უბნის ცვლის უფროსად დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა სამთო ტექნიკოსი ქალი მთელი გატაცებით ჩაება ქვანახშირის ამოღებისათვის გამართულ ბრძოლაში. ცვლა, რომელსაც თ. გიორგობიანი ხელმძღვანელობს, ფხიზლად ადევნებს თვალყურს ქვანახშირის ამოღების დროს სამთო-უსაფრთხოების წესების უმკაცრესად დაცვას, იბრძვის სანგრევების მაქსიმალური განიავებისათვის, რაც ხელს უწყობს ქვანახშირის ლავების ბურღვა-აფეთქების პროცესების დაჩქარებას.

ახალგაზრდა ქალაქის მშენებელთა შორის, რომლებითაც ასე ამაყობენ მეშახტეები, მოწინავეა ინჟინერ-მშენებელი ოლია ნადარეიშვილი. წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ინსტიტუტიდან საგზურით ტყიბულში მოვიდა. მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაშიც თავი გამოიჩინა ენერგიული, მუყაითი შრომით, საქმის ღრმა ცოდნით. ო. ნადარეიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა მეშახტეთა ახალი, კეთილმოწყობილი უბანი. ამჟამად იგი ქალაქის ცენტრალურ უბანში მეშახტეთა თოთხმეტბინიან სამსართულიან შენობასა და კოტეჯის ტიპის სახლებს აგებს.

ნაყოფიერად მუშაობს საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნადია სახელაშვილი, რომელიც მეექვსე წელია სტალინის სახელობის შახტის მეხუთე საექსპლოატაციო უბანში ქვანახშირის მომხვეტი კონვეიერის მემანქანეა. მისი კონვეიერი ყოველთვის შეუფერხებლად მუშაობს. ნ. სახელაშვილის ინიციატივით უბანში ფართო გაქანება ჰპოვა სამთო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ტყიბულის შახტებში ბევრი ქალი მუშაობს ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ძვირფასი სათბობიდან ფუჭი ქანის ამორჩევაზე. მარტო ლენინის სახელობის შახტში ამ საქმეს 56 ქალი ემსახურება. ყველა ისინი დაუღალავი შრომით ამრავლებენ საბჭოთა სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე ბურჯის—დიდებასა და სახელს.

ვ. ცირეკიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

★

კოლმეურნე ქალები

შრომითი მამაცობით გაითქვა სახელი ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვაცხუთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა დარიკო ბიჭაშვილმა. მისმა რგოლმა თავი ისახელა მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანით. ამიტომ არის, რომ ამხ. ბიჭაშვილი პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს, იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. კოლმეურნე ქალი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა იგი მესამედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

თამარ ბარსონიძე ამავე კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის მესამე რგოლის ხელმძღვანელია. მან 1948 წელს 3,13 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 77,4 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, დავალება ორმაგად შეასრულა. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ამხ. ბარსონიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1949 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

წარმატებას აღწევს კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელი გალინა ბენდიანიშვილიც. 3 ჰექტრის თვითეულ ჰექტარზე მან 74 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. მაღალი ჯილდოს პასუხად ამხ. ბენდიანიშვილმა წელს ჰექტარზე 95 ცენტნერი ყურძნის მოყვანა იკისრა.

კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" მოწინავე ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი ნინო ბერაძე, რომელმაც შარშან ჰექტარზე 71,6 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

სტახანოვური მუშაობის შესანიშნავი მაგალითებს გვიჩვენა სოფელ ქვაცხუთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ნინო საგანელიძემ. ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა, ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების გამოყენებით სახელმწიფოს მხოლოდ პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა, დავალება 160 პროცენტით შეასრულა.

მაღალნაყოფიერი მუშაობის მაგალითს იძლევა სოფელ ჭყვიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ახალგაზრდა სტახანოველი ციცია ასათიანი. შარშან მეაბრეშუმე ქალთა რაიონულ შეკრებაზე მან პირობა დადო მიეღო აბრეშუმის პარკის ორჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ეს ვალდებულება ამხ. ასათიანმა სასახელოდ შეასრულა.

მოწინავე კოლმეურნე ქალები თავიანთი ენერგიული შრომით ხელს უწყობენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

შ. მაჩაიძე
„კომუნისტის" კორესპონდენტი

თავდადებული შრომით

შარშან ონის რაიონის სოფელ ღების ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის. ენერგიული შრომით სახელი გაითქვა ლუბა გავაშელმა, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 12 ძროხა. ამხ. გავაშელმა ზოოვეტერინარული წესების ზუსტად განხორციელებით შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 2.000 ლიტრი რძე, რითაც წველადობის წლიურ გეგმას 1.000 ლიტრით გადააჭარბა. ამ მოწინავე მუშაკმა ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა — წელს თვითეულ საფურაჟე ძროხას მოსწველოს 2.200 ლიტრი რძე.

სოფელ გლოლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ბეჯითი შრომით დაწინაურდა მეცხოველეობის ფერმის მწველავი კესო ბერიშვილი, რომელიც მზრუნველობით უვლის 12 ძროხას. კესო ბერიშვილი დიდი ხანია, რაც ამ ფერმაში მუშაობს. იგი ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს წველადობის გეგმას. მან ისე მოაწყო შრომა, რომ უზრუნველყო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.800 ლიტრი რძის მიღება, მაშინ როცა გეგმა 1.000 ლიტრის მიღებას ითვალისწინებდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ხიდეშლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები ვალენტინა ხიდეშელი და ფიდოსია გუგეშაშვილი, რომლებიც უვლიან ათ-ათ მეწველ ძროხას. მათ გეგმები 135-140 პროცენტით შეასრულეს. გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ფერმის მოწინავე ქალები ყოველწლიურად პრემია-წანამატს იღებენ.

წველადობის გეგმების შესრულებაში დიდი წარმატებები მოიპოვეს და წელს 1.300-1.400 ლიტრი რძის მიღებისათვის იბრძვიან სოფელ ღარის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები კესარია და ქეთევან ჯელაძეები.

ბ. მეტრეველი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს მოწინავე ქალებით, რომლებიც თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სურათზე — საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლმეურნეობის თავმჯდომარე მართა პლიევა ჯავის რაიონიდან, ჩაის მკრეფავი ცაცა ქარდავა ოჩამჩირის რაიონიდან, კოლმეურნე მარიამ ქემაშვილი ლაგოდეხის რაიონიდან, სოციალისტური შრომის გმირები — ჩაის მკრეფავი მინა გარმელია ოჩამჩირის რაიონიდან, ბრიგადირი შურა ჩხაიძე ლანჩხუთის რაიონიდან, მერგოლეური ელენე ხელაძე მახარაძის რაიონიდან, მერგოლეური მარგო ბაკარაძე ზუგდიდის რაიონიდან, მეპარხლე სოფიო მარიდაშვილი კასპის რაიონიდან, ჩაის მკრეფავი ზინა ბაჯელიძე მახარაძის რაიონიდან და მერგოლეური ანა ტყემალაძე ზესტაფონის რაიონიდან, მერგოლეური ვერა წოწორია გეგეჭკორის რაიონიდან, სოციალისტური შრომის გმირები — ბრიგადირი ოლღა ქსოვრელი ბოლნისის რაიონიდან და ჩაის მკრეფავი ასიე გოგიტიძე ქობულეთის რაიონიდან.

ფოტო რ. აკოფოვისა

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი

პარიზი, 6 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მეორე სხდომა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირისა, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესამუშავებლად. თავმჯდომარეობდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დევისი.

როგორც ცნობილია, წინა სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ სსრ კავშირის მთავრობის სახელით წარადგინა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის პროექტი, რომელშიც შეტანილია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხები. მათ რიცხვს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, საკითხი ოთხი სახელმწიფოს მიერ გერმანიის დემილიტარიზაციის თაობაზე და გერმანიის რემილიტარიზაციის არდაშვების თაობაზე პოტსდამის შეთანხმების შესრულების შესახებ, რაც ევროპისათვის ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომელიც ეხება მის ხალხთა და მათ შორის აგრეთვე გერმანელი ხალხის ძირეულ ინტერესებს. იმ მისწრაფების გამო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობა მიმართულ იქნას ისეთ პრობლემათა განხილვისაკენ, რომელთაც მართლაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ვითარებაში ამჟამად არსებული დაძაბულობის თავიდან აცილებისათვის, საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა აგრეთვე შეტანილ იქნას მინისტრთა საბჭოს დღის წესრიგში საკითხები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარებისა და ამის შესაბამისად გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ, აგრეთვე ევროპაში არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემცირების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ.

თავის მხრივ სამი სახელმწიფოს—დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის—დელეგაციებმა წარადგინეს დღის წესრიგის თავიანთი პროექტი, რომელიც გვერდს უვლის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ძირითად საკითხებს და, უწინარეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანეს საკითხს გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ და მისი რემილიტარიზაციის არდაშვების შესახებ.

როგორც აქ ცნობილი გახდა, დღევანდელ სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა, საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დევისმა. როგორც ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, ისინი ყველანი მხარს უჭერდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის მათ მიერ შეტანილ საერთო პროექტს და ცდილობდნენ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ასეთი დღის წესრიგი შესაძლებლობას იძლევა მინისტრების საბჭოს სესიაზე განხილულ იქნას ის კონკრეტული საკითხებიც, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა დელეგაციის მიერ აწინდელ თათბირზე. დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები განსაკუთრებით თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ იმას, რომ დღის წესრიგში შეეტანათ გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ და მისი რემილიტარიზაციის არდაშვების შესახებ პოტსდამის შეთანხმების შესრულების საკითხი და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ეს საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას „იმ საერთო დაძაბულობისაგან მოწყვეტით, რომელიც არსებობს დღეს მთელ მსოფლიოში“. ცდილობდნენ რა არ დაეშვათ ამ საკითხისა და აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის სხვა იმ ნათელ და კონკრეტულ წინადადებათა განხილვა, რომელთა გადაჭრაზეც სწორედ დამოკიდებულია საერთაშორისო ვითარების არსებული დაძაბულობის ლიკვიდაცია და ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაიწყეს იმის მტკიცება, თითქოს ეს საკითხები ფორმულირებულია ისე, რომ მათი გადაჭრა განსაზღვრულია წინასწარ.

შეეკამათა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, სსრ კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ დაამტკიცა მათი იმ განცხადებების სრული უსაფუძვლობა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი თითქოს შესაძლებლობას აძლევს სსრ კავშირის წარმომადგენელს განიხილოს საბჭოთა მთავრობისათვის საინტერესო ყველა საკითხი.

როგორც ცნობილი გახდა, გრომიკომ ეს განცხადებანი დაახასიათა, როგორც ცდა—კონკრეტული მიზანშეწონილი საბჭოთა წინადადებანი შეეცვალონ ისეთი წინადადებებით, რომლებიც არ სახავენ მინისტრების საბჭოს წინაშე გარკვეულ მკაფიო ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მართლაც შეუწყობდა ხელს მშვიდობის უზრუნველყოფასა და ვითარების გაუმჯობესებას ევროპაში. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი დღის წესრიგის პროექტი, ხოლო განსაკუთრებით გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი და მისი რემილიტარიზაციის არდაშვების საკითხი შეესაბამება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანებს.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია:

ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად მტკიცედ იცავენ, ჩერნებდნენ მათ მიერ წინათ დაკავებულ პოზიციებს.

6 მარტს აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მოწინააღმდეგის ორი გემი.

ხეჯუის რაიონში მდინარე ხანგანის სამხრეთ ნაპირზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 280-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია მოწინააღმდეგის ორი ტანკი და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

პეკინი, 6 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო, ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობის მიხედვით გადმოგვცემს, რომ ვიეტნამელმა პარტიზანებმა და სახალხო წინააღმდეგობის რაზმებმა გააძლიერეს აქტივობა მტრის ზურგში.

მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში თებერვლის შუა რიცხვებში სახალხო წინააღმდეგობის რაზმებმა და პარტიზანებმა, რომელნიც წითელი მდინარის დელტის რაიონში და ჩრდილოეთ ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილში მოქმედებენ, მოსპეს მოწინააღმდეგის ხუთი გამაგრებული პუნქტი ბაკ-ნინისა და ჰუან-გინის პროვინციებში. მათ გაანადგურეს აგრეთვე მოწინააღმდეგის ასეული, რომლის ჯარისკაცებიც ძარცვას ეწეოდნენ ხაი-დუონგის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში.

სახალხო ძალებმა სამხრეთ ვიეტნამში მთელი რიგი იერიშები მიიტანეს ფრანგების პოზიციებზე დონგ-ჩაუ-ხაოს, რაჩ-ქიის და კან-ტოს (საიგონის სამხრეთ-დასავლეთით) შორის და ჩაძირეს მტრის გემი კან-ტოს მახლობლად, სროლა აუტეხეს ქალაქ რაჩ-ქიის და მოსპეს მოწინააღმდეგის სიმაგრე ფუნ-გიები.

როგორც გადმოგვცემენ, გუან-გიენის პროვინციაში ვიეტნამელმა პატრიოტებმა ჩამოაგდეს ფრანგების ორი თვითმფრინავი.

ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის პოზიციებზე პაკ-ხონში, ატოპაში, მონ-კანსა და ბასაკში (სამხრეთ ლაოსში), ამასთან მოსპეს ფრანგთა რამდენიმე პოსტი, მათ შორის მეონგ-კონი და ლაონგ-განე.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად შვეციის კონგრესის გადაწყვეტილებანი

სტოკჰოლმი, 5 მარტი. (საკდესი). გუშინ დამთავრებულმა მშვიდობის მომხრეთა სრულიად შვეციის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი აღფრთოვანებულია მშვიდობისადმი მისწრაფებით და რომ ერთობლივი მოქმედებით მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ომი. ამიტომ მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევისათვის ჩვენ გვინდა დავესახოთ ზოგიერთი ღონისძიებანი, რაც გამოყენებულ უნდა იქნას გულახდილობისა და კეთილი ნების ატმოსფეროში.

1. კორეის კონფლიქტი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და არა შეიარაღებული ჩარევის გზით. უცხოეთის მთელი ჯარები გაწვეულ უნდა იქნან კორეიდან და კორეელ ხალხს მიეცეს გარანტია, რომ თავისუფალი არჩევნების საშუალებით გადაწყვიტოს თავისი პოლიტიკური პრობლემები.

2. მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთში მთელი კონფლიქტის შესახებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ფორმოზის დაბრუნებისა და დემილიტარიზებულ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხის ჩათვლით, ერთობლივად უნდა აწარმოოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა მიიღოს თავისი კანონიერი ადგილი უშიშროების საბჭოში იმ ანგარიშით, რომ გაერთიანებული ერების მთელ ორგანიზაციას შეეძლოს იმოქმედოს თავისი წესდების თანახმად.

3. ხალხებმა, რომლებსაც ამჟამად ჯერ კიდევ არა აქვთ თვითმმართველობა, უნდა მიიღონ ეროვნული დამოუკიდებლობის უფლება. კოლონიური ჩაგვრა საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

4. სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს იარაღს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ან იარაღის საშუალებით ჩაერევა მეორე ხალხის საშინაო საქმეებში რაიმე საბაბით, დამნაშავე იქნება აგრესიის აქტში, და ეს განიხილება როგორც დანაშაული მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

5. მშვიდობა ევროპაში შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას, თუ არ იქნება ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული გერმანია. გერმანელი ხალხის მისწრაფებას ერთიანი გერმანიის შექმნისაკენ მხარი უნდა დაეჭიროს და მთელ გერმანიაში უნდა მოეწყოს ნამდვილი თავისუფალი არჩევნები.

უნდა ხორციელდებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებანი, რომელნიც კრძალავენ გერმანიის შეიარაღებას, და საოკუპაციო ჯარები გაწვეულ იქნან გერმანიიდან.

6. დიდ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მწვავე სადავო საკითხები უნდა გადაიჭრას ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრის მოწყობით, რათა დადებულ იქნას მშვიდობის საერთო პაქტი, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს ყველა ხალხი.

დიდ სახელმწიფოთა შორის ასეთი შეხვედრა განამტკიცებს მშვიდობისადმი მისწრაფებას, შეანელებს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას და გაადიდებს ხალხთა ურთიერთნდობას.

7. გამალებული შეიარაღება, რომელიც იწვევს ფასების გადიდებას, ცხოვრების დონის დაქვეითებას და ომის საფრთხის გაძლიერებას, შეწყვეტილ უნდა იქნას. დიდმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ თავიანთი შეიარაღებული ძალების პროგრესული, ერთდროული და პროპორციული შემცირება, რაც პირველი ნაბიჯი იქნება საყოველთაო განიარაღებისაკენ.

მასობრივი მოსპობის ყოველგვარი სახეობის იარაღი დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს. ამ ღონისძიების განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ ცნობილი საერთაშორისო კონტროლის ისეთი ორგანოს შექმნით, რომელსაც ექნება საჭირო უფლებამოსილება.

8. აკრძალულ უნდა იქნას ომის პროპაგანდა. ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს ყოველმხრივი სავაჭრო და კულტურული გაცვლის საშუალებით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე“.

კონგრესმა მიიღო შვეციელი ხალხისადმი მოწოდება, რომელსაც დაარქვა „შვეციის მოქალაქეთა ადრესი მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“.

„ჩვენ, — ნათქვამია მოწოდებაში, — ვემხრობით შვეციის მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც ტოვებს ჩვენს ქვეყანას სამხედრო ბლოკების გარეთ.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამალებული შეიარაღებისა, რომელიც იწვევს სიძვირეს და აქვეითებს ჩვენი ცხოვრების დონეს.

შვეციის საკუთარი ინტერესების გამო, ჩვენ ვემხრობით თავისუფალ სავაჭრო გაცვლას და კულტურული ურთიერთობის თავისუფლებას.

ჩვენ გვსურს მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა ხალხთან“.

მშვიდობის მომხრეთა კონგრესმა აირჩია მშვიდობის დაცვის მუდმივი ეროვნული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ კონგრესმა ერთსულოვნად აირჩია აქტიური საზოგადო მოღვაწე, ცნობილი სტოკჰოლმელი ექიმი პეტერ ვარენიუსი. იგივე იქნება აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ბ. გურგენიძე და ი. ლოლუა ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეჩვიდმეტე ტურში ნ. სოროკინი და ი. გამრეკელი ფიგურების გაცვლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ოსტატობის კანდიდატმა ნ. სოროკინმა მოაგროვა 13 ქულა და მოიპოვა საქართველოს 1951 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება.

მ. შიშოვმა ისარგებლა ო. წიწილაშვილის სუსტი თამაშით, მოიგო ხარისხი და პარტიაც. ა. ბლაგიძემ დ. ჩირაძესთან პაიკი წააგო, მაგრამ შემდეგ მოახერხა გარღვევა მეფის ფლანგზე და 38-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. ქარსელაძე—გურგენიძის პარტია გადაიდო ქარსელაძისათვის პოზიციური უპირატესობით. გ. გამრეკელმა მწვავე კომბინაციური თამაშით დაამარცხა ა. ბუსლაევი. ყაიმით დამთავრდა შ. ინწკირველი—თ. გიორგაძის და ი. ლოლუა—გ. ალამაშვილის შეხვედრები. ი. კლიაცკინ—ო. ელიოზიშვილის პარტია გადადებულია პირველის უპირატესობით.

უკანასკნელი ტურის შემდეგ ნ. სოროკინს აქვს 13 ქულა, მ. შიშოვს—12, ბ. გურგენიძეს—11 და ერთი გადადებული პარტია, ა. ბლაგიძეს—11 ქულა, გ. ქარსელაძეს—10 და ერთი გადადებული პარტია, თ. გიორგაძეს—9 ქულა, ა. ბუსლაევს—8, ი. კლიაცკინს—7½ ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ქსენია გოგიავას წარმატება

რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ ზვენიგოროდში (მოსკოვის ოლქი) დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ნაპერწკლის“ ცენტრალური საბჭოს ქალთა საჭადრაკო პირველობა, რომლის მონაწილეთა შორის იყო ქალთა მსოფლიო ჩემპიონი ლიუდმილა რუდენკო.

შეჯიბრებაში დიდი წარმატებით თამაშობდა საქართველოს ჩემპიონი ქსენია გოგიავა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა და მესამე ადგილი დაიკავა.

ამ ტურნირში მეხუთე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ყოფილი ჩემპიონი (1949 წ.) ლილი გელოვანი.

ახალი მძლავრი სააბაზანო

წყალტუბო. (საქ. კორ.). აქ ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი № 6 სააბაზანო, რომელიც კეთილმოწყობის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა სსრ კავშირის ბალნეოლოგიურ კურორტთა სამკურნალო დაწესებულებებს შორის.

სააბაზანო აგებულია არქიტექტორების გ. ხიმშიაშვილისა და ვ. ტარასოვის პროექტის მიხედვით. მას აქვს 50 ცალკე კაბინი და სამი აუზი, რომლებიც საათში 150 ავადმყოფს გაატარებენ. ამასთან დამსვენებელთა მომსახურებისათვის გახსნილია ჰიდროპათიური, გინეკოლოგიური, ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურისა და სხვა კაბინეტები.

ახალი სააბაზანოს მთავარი შესასვლელი, საერთო დარბაზები, აუზები მოპირკეთებულია მარმარილოთი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მაღალი ოსტატობით შესრულებული ნაძერწი ჩუქურთმები შენობის გარშემო და ფასადი, რომელსაც ამშვენებს ბრინჯაოს სკულპტურული მხატვრობა. სააბაზანოსთან მისასვლელი გზა მოასფალტებულია, ფასადთან მოწყობილია შადრევანი და გზის ორივე მხარეს დარგულია წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეები.

ფინეთის კომპარტიის პარტიული საბჭოს პლენუმი

ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარის აალტონენის მოხსენება

ჰელსინკი, 6 მარტი. (საკდესი). ფინეთის კომუნისტური პარტიის პარტიული საბჭოს მეშვიდე პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მიმდინარე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარემ აიმო აალტონენმა.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, განაცხადა მან, ფინეთის რეაქცია ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა ეძულებინა ფინეთი საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის იმ გზისათვის, რომელსაც დაადგა იგი უშუალოდ ომის შემდეგ, კერძოდ, პეკალას მთავრობის დროს. ფაგერჰოლმის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ არაერთხელ დაარღვია ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, განზრახ შეამცირა სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირთან და ამავე დროს განამტკიცა ურთიერთობა ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებლებთან, დადო, სხვათა შორის, ფინეთისათვის არახელსაყრელი სავაჭრო შეთანხმებანი დასავლეთის ქვეყნებთან და დასავლეთის იმპერიალისტთა ბრძანებით განახორციელა ფინური მარკის ღირებულების შემცირება. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესებას, რაც ასეთი პოლიტიკით იყო გამოწვეული, და ფინეთის მშრომელი მასების გაღატაკებას შედეგად მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენის დაცემა და ამ პარტიის დიდი დამარცხება პრეზიდენტის ამრჩევთა არჩევნებში გასული წლის დამდეგს.

იმისათვის, რომ რამდენადმე გამოესწორებინათ სოციალ-დემოკრატების ცოდვები, განსაკუთრებით საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის დარგში, შედგენილ იქნა კეკონენის პირველი მთავრობა, რომელმაც მოახერხა რამდენადმე გაეუმჯობესებინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და მიაღწია სსრ კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. მაგრამ არც ეს მთავრობა იცავდა ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა გავლენისაგან მთლიანად თავისუფალ საგარეო-პოლიტიკურ ხაზს.

ომის ფინელი და უცხოელი გამჩაღებლები განუწყვეტლივ ცდილობდნენ შეეყვანათ ფინეთი ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ბანაკში და დაეყენებინათ იგი აშკარა ანტისაბჭოთა გზაზე. ამ მხრივ ადგილობრივი და უცხოეთის რეაქცია უფრო მეტად ენდობოდა სოციალ-დემოკრატ ლიდერებს, ვიდრე ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული სოციალ-დემოკრატების შეყვანა კეკონენის მეორე მთავრობის შემადგენლობაში. სოციალ-დემოკრატები შევიდნენ ამ მთავრობაში მხოლოდ და მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური მოსაზრებებით.

მშვიდობის საკითხი, განაგრძო აალტონენმა, ახლა ფინეთში განსაკუთრებით აქტუალური გახდა, კერძოდ იმიტომ, რომ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად დაადგნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გზას, რაც ფინელი ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას ემუქრება.

აალტონენმა ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიაქცია ფინეთში ახალი ომის განუწყვეტლივ მზარდ პროპაგანდას. მან აღნიშნა, რომ ომის გამჩაღებელთა აგენტები ყველა საშუალებას იყენებენ რევანშისტული განწყობილების გასაღვივებლად ფინელ ხალხში, რათა კვლავ დააყენონ ფინეთი ანტისაბჭოთა სამხედრო ავანტიურის გზაზე.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ფინეთის მილიტარიზაციის პოლიტიკას, რომელსაც აშკარად და ფარულად ეწევიან გარკვეული წრეები. მან მოაგონა პლენუმს, რომ სამხედრო ბეგარის ვადის გადიდების შესახებ სეიმის მიერ ამას წინათ მიღებული კანონი არსებითად მიმართულია საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ. მილიტარიზაცია ხდება აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის ვითომდა დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებათა საფარით. გარდა ამისა, ფინეთში ამჟამად მუშავდება არმიის რეორგანიზაციის გეგმები და იქმნება სტრატეგიული საქონლისა და ხელლეულის მარაგი.

მოაგონა რა პლენუმს ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების შესაძლებლობის შესახებ, აალტონენმა აღნიშნა, რომ ომის გამჩაღებლები ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ ანტისაბჭოთა ომში ჩაითრიონ. იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ ამ გეგმების განხორციელებას, საჭიროა შევქმნათ მშვიდობის მომხრეთა კიდევ უფრო მძლავრი ეროვნული ფრონტი-უალრესად ფართო საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, თქვა აალტონენმა, ომის პოლიტიკას არ იწონებენ. ამას ადასტურებს სტოკჰოლმის მოწოდებაზე 1 მილიონამდე ხელმოწერა და მშვიდობისათვის მოძრაობის ზრდა ჩვენს ქვეყანაში. მშრომელნი მოითხოვენ კარგ და ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, რადგან მხოლოდ ეს უზრუნველყოფს ჩვენი ეროვნული უშიშროებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ფინეთს ყველაზე უკეთ იმით შეუძლია ხელი შეუწყოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების განხორციელებას, თუ იგი აშკარად და მტკიცედ გამოვა დასავლეთ გერმანიისა და სკანდინავიის ქვეყნების შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს ქმნის ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე, თუ ამხილებს ომის გამჩაღებლებს, აკრძალავს ომის ყოველგვარ პროპაგანდას, აქტიურ დახმარებას გაუწევს ატომური იარაღის აკრძალვისაკენ, საყოველთაო განიარაღების განხორციელებისაკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას, მხარს დაუჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

მშვიდობისათვის ბრძოლა მჭიდროდ დაკავშირებულია მშრომელთა ბრძოლასთან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ფინეთის კომუნისტურ პარტიას, რამდენადაც სოციალ-დემოკრატი ლიდერები სავსებით შეუერთდნენ ბურჟუაზიას, მასთან ერთად უტევენ მშრომელთა საარსებო დონეს და მუშათა მოძრაობის გათიშვის გზით ცდილობენ შეასუსტონ მშრომელთა ნებისყოფა და ძალა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინეთის მშრომელთა რეალური ხელფასი კვლავ განუხრელად მცირდება. ცხოვრების ღირებულება 1950 წლის განმავლობაში 20,8 პროცენტით გაიზარდა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცნობები სრულებითაც არ ასახავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ნამდვილად ცხოვრების ღირებულება გასულ წელს სულ ცოტა 30 პროცენტით გაიზარდა, კიდევ უფრო გადიდდა ფართო მოხმარების ყველაზე საჭირო საქონლის ფასები.

მუშათა კლასმა თავისი მასობრივი გამოსვლებით უნდა აიძულოს მეწარმენი აძლიონ მშრომელებს ხელფასი ცხოვრების ღირებულების ინდექსის ზრდის შესაბამისად. მაგრამ ამას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ პროფკავშირულ მოძრაობაში მთავარი პოზიციები უკავიათ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს. მიმდინარე მომენტის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას პროგრესული ძალების გამარჯვება ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების არჩევნებში. ჩვენმა პარტიამ, თქვა აალტონენმა, ყოველივე შესაძლებელი უნდა გააკეთოს ამ გამარჯვების მიღწევისათვის. საჭიროა უფრო მეტად და ფართოდ ვამხილოთ მასების წინაშე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მოღალატური საქმიანობა და დავრაზმოთ მშრომელნი პროფკავშირების გამთიშველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ყოველივე ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სავსებით დავთრგუნოთ ხალხისათვის დამღუპველი მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობა. ამისათვის საჭიროა მსხვილი სამრეწველო საწარმოების, ბანკების, კომერციული და სადაზღვევო დაწესებულებების ნაციონალიზაცია.

აალტონენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინეთის კომპარტია სავსებით უჭერს მხარს მშრომელი გლეხობის ბრძოლას მემამულეებისა და კულაკების მიერ მისი ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მოითხოვს მიწის რეფორმის სასწრაფოდ განხორციელებას.

დასასრულ აალტონენი შეეხო პარტიის მუშაობის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებს.

ამერიკული მონოპოლიები სამხედრო ავანტიურებით მდიდრდებიან

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). ფირმამ „ჯენერალ მოტორს კორპორეიშენმა“, რომელსაც კონტროლს უწევენ დიუპონისა და მორგანის კომპანიები, გამოაცხადა, რომ 1950 წელს მისი წმინდა მოგება იყო 834 მილიონზე მეტი დოლარი, მაშინ როცა წინა წლის წმინდა მოგება 656 მილიონ დოლარს შეადგენდა. ეს მოგების სარეკორდო ციფრია, რომელიც ოდესმე გამოუცხადებიათ ამერიკულ კორპორაციებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოგება დარჩა მას შემდეგ, რაც ფირმამ 1.119 მილიონი დოლარი გამოჰყო გადასახადების გასასტუმრებლად და წლის განმავლობაში 290 მილიონი დოლარი დახარჯა ახალი მოწყობილობის შესაძენად.

ფირმა „ჯენერალ მოტორსის“ სარეკორდო მოგება ასახავს საავტომობილო მრეწველობის მზარდ მონოპოლიზაციას და ცხადყოფს, თუ რამდენად სასარგებლოა კაპიტალისტებისათვის სამხედრო დაკვეთები. შეერთებულ შტატებსა და კანადაში შარშან გამოშვებულ იქნა 8,4 მილიონი ავტომანქანა და სატვირთო მანქანა, აქედან „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის ქარხნებმა გამოუშვეს 3,8 მილიონი, ე. ი. 38 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. გარდა ამისა, „ჯენერალ მოტორსმა“ გამოაცხადა, რომ მან მიიღო 3 მილიარდი დოლარის ახალი დიდი სამხედრო დაკვეთები. ამ დაკვეთების მეტი წილი მიღებულია მას შემდეგ, რაც ტრუმენმა დეკემბერში „საგანგებო წესები“ გამოაცხადა, და ეს დაკვეთები არ არის ასახული ფირმის გასულ წლის მოგებაში.

პატრიოტთა დახვრეტა საბერძნეთში

ათენი, 6 მარტი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ სალონიკში დახვრიტეს კიდევ შვიდი პატრიოტი, მათ შორის ექვსი—ქალკიდონის ნახევარკუნძულის პარტიზანი—ორფანიდი, სტოიანისი, სპირიდუსოსი, მიცასი, პაპანდოპულო და პარაფირასი, აგრეთვე ნიკიფორიდისი, რომელიც, როგორც გაზეთი „ელეფთერია“ ამტკიცებს, მშვიდობის მომხრეთა ახალგაზრდობის კომიტეტის ორგანიზატორი იყო.

დახვრეტის ახალმა ტალღამ, რაც საბერძნეთში დაიწყო, ძლიერ შეაშფოთა სიკვდილმისჯილი რამდენიმე ათასი პატრიოტის დედები, ცოლები, შვილები და სხვა ნათესავები.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ევროპის მუშათა კონფერენციის მოსამზადებელი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის მიმართვა

პარიზი, 6 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნებულია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ევროპის მუშათა კონფერენციის მოსამზადებელი ეროვნული კომიტეტის მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას ყველა მშრომელისადმი, ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისადმი — აირჩიონ თავიანთი დელეგატები ამ კონფერენციისათვის და შეუდგნენ სახსრების შეგროვებას მისი მოწყობისათვის.

„ეროვნული კომიტეტი,—ნათქვამია მიმართვაში,—ღრმად არის დარწმუნებული, რომ მშრომელთა ინიციატივა უზრუნველყოფს ევროპის მუშათა კონფერენციის სრულ წარმატებას. კონფერენცია წვლილი უნდა იყოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რემილიტარიზაციისა, რომელიც ამჟამად ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის“.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

8 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება სამინისტროების პირველადი პარტორგანიზაციების შტატგარეშე კონსულტანტების სემინარი.

ლექტორები: დოცენტი **ი. მირცხულავა** და დოცენტი **ი. მაილიანი**.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

9 მარტს

6.45 — სიმღერები მოსკოვზე. 9.20—ბელორუსული და მოლდავური სიმღერები. 10.30 — ნაწყვეტი ალ. ყაზბეგის რომანიდან: „ხევისბერი გოჩა“. 18.15 — სკრიაბინის პრელუდიები და ეტიუდები. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — არიები რუს კომპოზიტორთა ოპერებიდან. 20.30 — რადიოსადგურებით — საუბარი: საგაზაფხულო კულტურების თესვის ვადები და გამოთესვის ნორმები. ქალაქის ქსელით — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 20.45 —რუს კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები. 21.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.40—ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები. 23.00—საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური კაპელის კონცერტი. 24.00—ვალსები შტრაუსის და ლინკის ოპერეტებიდან.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის კონცერტი; **რუსთაველის სახელობის** — „თბილისელი ქალიშვილი“; **გრიბოედოვის სახელობის**—„ცოცხალი გვამი“ (24-ე აბ.); **სომხური დრამის**—„დიდებული განძი“; **მუსიკალური კომედიის**—„ერთხელ გაზაფხულზე“ (პრემიერა); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბედნიერებისაკენ“ (61-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„სამი მუშკეტერი“ (144-ე აბ. 7 საათზე); **სახკულტურის**—„საპატიო სტუმარი“; **სახელმწიფო ცირკი** —დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“—„გაზაფხული ყინულზე“; „თბილისი“—„ვაჟიშვილები“; „ისანი“ — „კუტუზოვი“; „სპარტაკი“—„ქეთო და კოტე“; „დიდუბე“—„კაზბეკი“.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო აუწყებს ყველა დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ 1951 წლისათვის შტატების და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაცია გატარებულ უნდა იქნას დიფერენცირებულ ვადებში, რაც დადგენილია ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ, და არაუგვიანეს 1951 წლის 1 აპრილისა.

საჭიროა ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ დროულად მიიღოს თავისი ზემდგომი ორგანიზაციისაგან 1951 წლისათვის დამტკიცებული საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა და გაატაროს ის შესაბამისი ქალაქისა და რაიონის საფინანსო განყოფილებაში.

რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ ბანკების განყოფილებანი ხელფასს გასცემენ მხოლოდ 1951 წლისათვის შტატების რეგისტრაციის ბარათის წარდგენისას.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

ნ. მაჩავარიანი, მ. გუჩმაზაშვილი, ი. კობიაშვილი, ბ. გაბარაშვილი, ხ. გრიგოლაშვილი, ვ. სალიბეგაშვილი, ა. ლაგვილავა ქ. ჯაფუა ქ. მანჯგალაძე, ვ. ბაჯელიძე, ა. მიმინოშვილი, ვ. შენგელია თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მ. რუხაძეს მისი დედის **ნინო დავითის ასულ რუხაძის** გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ზონალური მანქანათა საგამოცდო სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. მირიანაშვილს მისი დის **ანიკო ვასილის ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალების გამო.

„გლავლესსბიტის“ თბილისის შერეული ტანსაცმლის სავაჭრო ბაზის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. პერტენავას მისი მამის **გარსევანის** და შვილის **ნანა პერტენავების** გარდაცვალების გამო.

შვილები კოკოშა, მარგარიტა, გრიშა, რძალი გოხალა, სიძეები ი. თოდრაძე, ა. ბახტაძე, შვილიშვილები რუსიკო, თეიმურაზ, ნანული, ლეილა, ზურაბ, ომარ იუწყებიან **ნინო ივანეს ასულ ზენაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III ლანჩხუთში (ავარაკის უბანი).

მეუღლე ეპრაქსი, შვილები ფაცია, ნინო, თამარ, ალიოშა, რძალი ნათელა, სიძე გ. ბოკუჩავა, შვილიშვილები დოდო, ნონოზა, ზვიკი იუწყებიან **ფილიპე ესებ-ძე თოდრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III ქვაბლიში (ჩოხატაურის რ.).

ა. უშვერიძე, ა. მხეიძე, თ. აკოფაშვილი, გ. ხოშტარია, გ. უხოვი, მ. ბურჭულაძე, ა. ჯაველიძე, ნ. ხეჩინაშვილი, მ. კუკულაძე, ი. კედია, ა. კვიტაშვილი, ა. ატომიანი თანაგრძნობას უცხადებენ მ. ნაცვლიშვილს მისი მამის **გერასიმეს** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნადია, შვილები ქეთო, თამარ, რეზო, შვილიშვილი ჯონდო იუწყებიან **ხერაპიონ ქრისტეფორეს-ძე ანთაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-III, 7 ს. გამოსვენება 11-III, 4 ს. რეზერვუარის, 18. (ლენინიონი).

ს. როსტიაშვილი, რ. ჰელიძე, ი. საგინაშვილი, ს. ვიქტოროვი, ნ. წერეთელი თანაგრძნობას უცხადებენ ი. მ. რუხაძეს მისი დედის **ნინო დავითის ასულ რუხაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები კონა და ოთარ ვარდოსანიძეები, სიძე ქ. ნადარაია, შვილიშვილი ზურაბ იუწყებიან **კალე ირაკლის-ძე ვარდოსანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III ქუთაისში, ძერჟინსკის შესახ. 3.

ბ. ძლენტი, გ. კუპრეიშვილი, ხ. გაჩეჩილაძე, ნ. ფირცხალავა, ქ. ჯულელი, ე. ჯაჭია, გ. მეგრელიძე, გ. თოდუა, დ. ძნელაძე, რ. ჩხაიძე, ა. ბარბაქაძე, ა. ძნელაძე თანაგრძნობას უცხადებენ ს. სიმონგულოვს მისი დისწულის **ლიანა უგრელოვის** გარდაცვალების გამო.

რძალი ივლიტა კოკალიშვილი, ძმისწულები მარიამ, ნადია, ელენე, პავლე და ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან **ოლიმპიადა ევნატეს ასულ ხანაძის** გარდაცვალებას.

ვ. ხატიაშვილი, პ. კანდელაკი, პ. კიკნაძე, ი. ახვლედიანი, ი. გოგორიშვილი, ვ. კახეთელიძე, ა. კაკულია, ს. სიმონიშვილი, შ. ჯანიკაშვილი, ა. მაჭარაძე, მ. ხვედელიძე, ვ. თამაზაშვილი იუწყებიან **იოსებ მიხეილის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას.

ღები სალომე, ელენე და მარო, სიძე ქ. გუდაძე, დისწულები ვახტანგ და თენგიზ იუწყებიან **იოსებ მიხეილის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-III, 5 ს. ი. პავლოვის, 24.

საშა, ლუბა, მანია, ტატიანა პანჩულეიშვილები, სიძეები გ. მოწონელიძე, შ. გვენეტაძე, შ. ქემხაძე, გ. ცინცაძე შვილებით იუწყებიან სიძის **გერასიმე დავითის-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III, სამტრედიაში.

ნ. ქვანია, გ. ქორჩიკაშვილი, ვ. ლუარსაბოვი, მ. მაღრაძე, ი. ჩოჩია, გ. ცქიტიშვილი, ა. სხირტლაძე, ვ. კობახიძე, ა. მიქაუტაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნ. მ. რუხაძეს მისი დედის **ნინო დავითის ასულ რუხაძის** გარდაცვალების გამო.

დედა ნინო, დედიშვილები ელეონორა, კარლოს, თამარ და ეთერ, სიძეები ი. კულიშვილი, ი. თარხნიშვილი, რძალი დარეჯან იუწყებიან **ქეთევან ივანეს ასულ ვეფხვაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-III, 5 ს. ა. პავლოვის, 9.

ზაქარია, ირაკლი, სალომე, გალინა, ნინო, ვარო კიკნაძეები იუწყებიან ბიძაშვილის **იოსებ მიხეილის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ ქ. ჯაყელს მისი მამის **გერასიმე სიმონის-ძე ჯაყელის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10-III, შრომაში (მახარაძის რ.).

თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედპერსონალი, პარტორგანიზაცია, კომკავშირის ორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **იოსებ მიხეილის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3 08 67, ხამდივნოსი — 3 06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3 81 84, სასოფლო სამეურნეოსი — 3 57 61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3 80 83, სამრეწველო სატრანსპორტოსა და ინფორმაციის — 3 80 84, მშრომელთა წერილების — 3 73 24, მორიგისა და გამომშვების — 3 81 65, გამომცემლობისა — 3 51 31, სტამბის დირექტორის — 3 77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01552